სსკგ-ის თავმჯდომარემ რუმინეთის პატრიარქს უნეტარეს დანიელს ანგელოზის დღეს მიულოცა

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს ანგელოზის დღესთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა.

ქვემოთ მოყვანილია მისალოცი გზავნილის სრული ტექსტი.

თქვენო უნეტარესობავ!

გულითადად გილოცავთ ანგელოზის დღეს.

თქვენ, საპატრიარქო მსახურებაზე თქვენი მოშურნე მოღვაწეობით, მიმბაძველი ხართ წმინდა დანიელ წინასწარმეტყველის სათნოებებისა, რომლის სახელიც გეწოდათ სამონაზვნო აღკვეცაში, და რომელიც მას შემდეგ ფხიზლად შუამდგომლობს ღვთის წინაშე თქვენი უნეტარესობისა და მთელი თქვენი ღვთისმოსავი სამწყსოსთვის.

ამ წმინდანის ცხოვრება გვახსენებს სულიერ ძალას, რომელსაც ღმერთი ანიჭებს თავისი აღთქმის მტკიცე დამცველებს და ვინც მას ურყევად სასოებს. ჭაბუკი წინასწარმეტყველი ახოვნად აღმსარებლობდა ერთ ღმერთს, და ღირსიქმნა რა სასწაულებრივი ზეგარდამო შეწევნისა, აიძულა მეფე, ღმერთის დიდებულება ეღიარებინა.

თქვენი ნეტარებისთვის ამ საზეიმო დღეს ლოცვით გისურვებთ სიხარულსა და მშვიდობას რწმენაში (რომ. 15:13), ასევე, ჯანმრთელობასა და ზეგარდამო გაძლიერებას, მრავალჟამიერ თქვენს დიდებულ და ღვთივკურთხეულ პატრიარქობას.

მოკრძალებული სიყვარულით უფალში,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების

თავმჯდომარე, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89875/